სახალხო გაზეთი

№ 689 კვირა, 2 სექტემბერი 1912 წ. № 689

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი“ ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზანოთ.

სახ. გაზ. კანტორა.

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა

1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 ენკენისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მან.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

ალექსი და ჩიტი კოკაიას შვილის

გიორგის

სულის მოსახსენებლად წლის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება 3 ენკენისთვეს სოფ. **ნაჯახოუში,** წმ. გიორგის ეკლესიაში და სოფ. **ბანძაში** წმ. გიორგის ეკლესიაში. (3.1476.3)

მწუხარებით გულ-მოკლული **ივანე მარკის ძე ხუნცარია** უგულითადესის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 31 აგვისტოს გარდაიცვალა მისი უსაყვარლესი მეუღლე

აგრაფინა იოსების ასული ხუნცარიასი

(ჩამომავლობით **ქავთარაძე**).

ცხედრის გამოსვენება დანიშნულია ახალსენაკში საკუთარ სახლიდან სექტემბრის ოთხისათვის, დილის 9 საათზე, ნოტირავის წმ. გიორგის ეკლესიაში, სადაც წირვისა და ანდერძის აგების შემდეგ მიწას მიაბარებენ. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე. (1.1479.1)

სამშაბათს, 4 ენკენისთვეს, ვერის წმიდა ნიკოლოოზის ეკლესიაში დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

თამარ ვასილის ასულის გალაჯოევისა,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **თავ. ვასილ გიორგის ძე** და **ელისაბედ ივანეს ასული მაჩაბლები** შვილებითურთ. წირვა დაიწყება დილის ათ საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. (1.646.1)

ავლაბრის სახალხო თეატრი (მურაშკოსეული)

კვირას, 2 სექტემბერს, 1912 წ. ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** და **ვ. შალიკაშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ისმინე ისრაილ!

დრამა 3 მოქ., თარგ. ვ. შალიკაშვილისა.

მონაწილეობენ: ქ.ქ. აფხაზიშვილი, გიგოშვილი; ბ.ბ. სულთანიშვილი, ჯიბლაძე, კორძაია, კილოსანიძე, კულულაშვილი, თავდგირიძე და სხვ

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ანტრაქტებში დაუკრავს სიმებიანი მუსიკა.

რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.** (3.1448.3) მორიგე გამგე **ზ. ფორაქაშვილი.**

ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახ. სახლი.

ზ. ს. ს. ს. ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე.

1912/13 **სეზონის გახსნა.**

კვირას, 2 ენკენისთვეს, წრის სცენის-მოყვარეთაგან და ქ-ნ **ეფ. მესხის, ალ იმედაშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

„მაღაროს უფროსი მუშა“,

დრ. 1 მოქ. მარსელ გერბიდან, თარგ. ნ. გოცირიძისა.

2) **„რაც გინახავს ველარ ნახავ“,** კომ. 3 მოქ. ავქ. ცაგარლისა. (2.642.2)

ახალი კლუბი (საზაფხულო თეატრი)

სამშაბათს, 4 ენკენისთვეს

სიმფონიური საღამო

პიანისტკა ქალის **რ. ბურშტეინის** მონაწილეობით.

დაწვრილებით პროგრამაში. დასაწყისი საღ. 9 საათზე.

თეატრის ადგილების ფასი 1 მ. 50 კ-დან—20 კ-მდე; სტუმრ. იხდიან შესასვლელ ფასად კლუბში, კაცები 50 კ., ქალ. და სტუდ. 25 კ. (2.1463.1)

3, 4 და 5 სექტემბერს

მუშტაიდში დანიშნულია უფასო სეირნობა

ავლაბრის სახალხო წარმოდგენბის მმართველ წრის სასარგებლოდ. საღამოს 6 საათიდან ბაღში იმღერებს **ქართული გუნდი** ეროვნულ ტანისამოსით გამოწყობილი. დაუკრავს აგრედვე **სიმებიანი ორკესტრი.** აუშვებენ ცეპელინის სისტემის შარს და შუშხუნებს, გაიმართება სხვა და სხვა თამაში და სხვ. ბაღი გაჩირაღდნებული იქნება. დასაწყ. საღ. 5 საათიდან. **შესვლა უფასოა.**

(1.1478.1)

გამგენი: თ. ზ. ნასიძე
ზ. დ. ფორაქაშვილი.

საზაფხულო ახალი კლუბი შენობა.

ორშაბათს, 3 ენკენისთვეს 1912 წ.

ჩვეულებრივად სინემატოგრაფი

დაუკრავს საზანდარი.

დასაწყისი საღ. 8 საათზე. (1.1463.1)

ახალი კლუბი (საზაფხულო თეატრი).

კვირას, 2 ენკენისთვეს,

უკანასკნელი საყმაწვილო საღამო.

სხვა და სხვა საყმაწვილო თამაშობა, **ცეკვა.** საზაფხ. თეატრის სცენაზე წარმოდგ. იქნ.: **„არეულობა“, „სასამართლო“,** დასასრულ **დივერტისმენტი“. დასაწ. საღ. 5 ს.** დასასრული 9 ნახ. სტუმ. და ყმაწვ. იხდიან 15 კ. ფასი სტუმართათვის ჩვეულებრივია. **ანონსი:** ორშაბთს, 3 ენკენისთვეს, ჩვეულებრივად **სინემატოგრაფი.** (1.1463.1)

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრედვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.
ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარ აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში--ელენე ვირსალაძესთან
ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.
გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—153—3)

„ტფილისის ქართულ საამხანაგო

მომღერალ-მგალობელთა გუნდი“,

(დაარსებული 1910 წ.)

აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მას ჰყავს **25—50 კაცამდის შემდგარი, ახლად შეკერილ საკუთარ ქულაჯებით გამოწყობილი გუნდი,** რომელსაც ლოტბარობს **მიხეილ კავსაძე.** გუნდი **1 ენკენისთვიდან** განაგრძობს თვის მოქმედებას: ასრულებს საქართველოს ყველა კუთხის სიმღერებს და ეკლესიურ გალობას, მონაწილეობს კონცერტებში, სამუსიკო დილა-საღამოებზე და სხვ. როგორც ტფილისში, ისე პროვინციებშიაც გუნდის მიწვევა, ახალ წევრთა მიღება და ყოველივე პირობების გაგება იკითხეთ: 1. გუნდის გამგეობის თავმჯდომარე **ნიკოლოზ ქრელაშვილთან,** სადგ. მახლობ. ანდრეევის ქ., № 87. 2 მის ამხანაგ **ნოე ეგნატეს ძე ლეჟავასთან,** კვირაცხოვლის ქ., № 28, და 3. **მიხეილ კავსაძესთან,** ავჭალის მოედანი № 11.

ვაარსებთ ქართველ მუშათა მომღერალ გუნდსაც.

(10.1449.5) **გუნდის გამგეობა.**

ტფილისის ქალაქის გამგეობა

იწვევს მსურველთ, ვინც თანახმაა

საზოგადო აქლიოს

ქალაქის ორ საავადმყოფოს არამიანცისას და ალექსანდრესას, ორ თავშესაფარს: სამშობიაროსა და სულით ავადმყოფთა და აგრედვე მიხეილის სახელობაზე არსებულ ქალაქის სახელოსნო სასწავლებელს ხორცისა, პურისა და რძის ძლევაზე შეიძლება ცალ-ცალკე განცხადება შემოიტანონ.

პირობის წერილი თუ იჯარის პირობები და სხვა საჭირო ცნობები შეიძლება მიიღონ ქალაქის გამგეობის ნივთიერ განყოფილებაში.

განცხადებანი უნდა ჩაავდონ გამგეობის 1-ლ განყოფილებასთან ჩაოკიდებულ საგანგებო ყუთში.

განცხადების მიღების უკანასკნელი ვადა სექტემბრის ათია.

(3.1477.2)

მიიღება ხელის მოწერა

„მოლიპულ გზაზე“ ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.

(რომანი)

600 გვერდამდე კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნი ხელის მოწერით ეღირება, მხოლოდ **ერთი მანეთი,** შემდეგ კი ფასი ერთი-ორად იქნება გადიდებული. შეიძლება დაკვეთა: ტფილისში—ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში—კანტორა „იმერეთში“ და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში; გორში—გაზეთ **„ქართლის“** კანტორაში და ი. კვალიაშვილის აფთიაქში, აგრედვე კანტ. „იმერეთის“ ყველა პროვინციელ აგენტებთან და ქართულ წიგნების დამტარებელ ი. კერესელიძესთან. **ადრესი:** Гори, Анастасiи Хоштарiя. (ამ შემთხვევაში ფულის გამოგზავნის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია).

(25—456—3)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მაჩაბლის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). $11\frac{1}{2}$—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12\frac{1}{2}$—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
[illegible]	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
[illegible]	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), $12\frac{1}{2}$—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12\frac{1}{2}$—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. ავადმ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10\frac{1}{2}$—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $2\frac{1}{2}$—3.
თვალ. ავ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2\frac{1}{2}$.
კან. ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—$1\frac{1}{2}$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათა მანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 10.107)

აგენტი მ. ა. გაჩეჩილაძე

ღებულობს როგორც ტფილისის, ისე ტფილისს გარეთ გაზეთებისათვის ყოველ-ნაირ განცხადებებს.

ადრესი: 1. მიხეილის პრ., სასტუმრ. „ვეტცელი“, ტელეფ. 3—80.
(10.1436.8) 2. ვაკე, საკუთ. სახ., ქართულ გიმნაზიის ახლო, 9—25.

კვირას, 2 სექტემბერს, 1912 წ. **დიდუბეში** გაიმართება დიდი საინტერესო,

კავკასიური ჭიდაობა

რომელშიაც იჭიდავებენ 15 წყ. პრემიებით: 1) შაშო ვერელი და მიხა კურხული; 2) ლუკა დადიანიძე და სანდრო კბილაშვილი; 3) პაპიაშვილი და სუქნიშვილი; 4) ნიკა ბუზარიაშვილი და ვასო კოშკელაშვილი; 5) პატარძეულელი და ხაშელი; 6) იოსებ სუქნიშვილი და აბრამა ხაშელი; 7) ბახუტოვი და ბეჟანიშვილი გორელი. გარდა ამისა იჭიდავებენ დანარჩომი 9 წყვილი. წრე იქნება განათებული. ვინც ჩვენთან ჭიდაობს ის სხვაგან არ იჭიდავებს დასაწყისი საღამოს 5 საათზე. (1.647.1)

შეუშხუნა „ჩვენი გემო“ კვასი

დღე არ გაივლის ისე, რომ ჩემმა ნაცნობ-მეგობრებმა საყვედური არ მითხრან, კვასმა „გემომ“ თავისი უწინდელი ღირსება დაჰკარგა და ეს არ უნდა მოგსვლოდაო. საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ჩვენ არავითარი საერთო არა გვაქვს „გემოსთან“. ჩვენ როგორც მისმა დამაარსებელმა და მოხელემ გავაუქმეთ ის და მის მაგიერ დავაარსეთ **„ჩვენი გემო“** და თუ „გემოს“ სახელით უშვებს ვინმე კვასს, ეს მხოლოდ სიყალბეა, და ამისთვის მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც აინტერესებს კარგი ღირსების ნადული წყლიდან დამზადებული პურის კვასი მოითხოვონ ყველგან **„ჩვენი გემო“** და არ აურიონ ის მის მზგავს ფირმებში.

პატივისცემით **მათე გორგილაძე** და **ამხანაგობა.**

მისამართი: სუდებნი ქუჩა სახლი № 6. (2.1096.1)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი სახელმძღვანელოები:

ჩვენი მწერლობა, (მგოსნები), ს. გორგაძე . . . ფასი 50 კ.
გუთანი, ოჯახში და სკოლაში საკითხავი . . . . . 85 „
მოძრავი ანბანი—კარდონზე 30 „
ანბანი კუბიკებზე . . 1 მ.—
წყარო, ა. ქუთათ. მოსამზადებ. კლ, II, ... 50 „
წყარო, იმსივე, ანბანი და პირველ საკითხავი . . . 25 „
არითმეტიკული კრებული ხრამელაშვილისა I, ყდით . 40 „
იგივე ნაწილი II, ყდით . 50 „
მოკლე სახელმძღვანელო საზოგად. გეოგრაფ.—აზია, აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია 35 „
მოკლე სახელმძღვ. საზოგად. გეოგრაფიისა, ევროპა . . 35 „
მოკლე საუბარი, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს პირ.-დაწყებ. კარი გეოგრაფ. ალ. ჭიჭ. 20 „
ფიზიკური გეოგრაფია . . 20 „
ქართ. წმინდანები, სასულიერ. სასწავლებლებისთვის იოსელ. 50 „
ყუბანეიშვილი. პირ.-დაწყ. სწავლება სალვთო სჯულზე, ყდ. 30 „
ახალი აღთქ. სამღ. ისტ., მისივე 40 „
ძველ. აღქმ. სამღ. ისტ. მისივე 50 „
ქართ. წერ. რვეულ. წ. კ. გამოცემა წყვილი . . . . 5 „
ათასამდე ყოველი ასის ფასი 2 მ. 40 „
ათასზე მეტი ყოველი ასი 2 მ. 30 კ.

ადრესი: Тифлисъ, О-во распр. Гр. ср гр. насел. (წ. 1141.113)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ძაძაია

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე (თ. 10.143—133)

ექიმი ქალი კბილისა ნინო რცხილაძე

20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში.** 3—9 საათამდე

ექიმი ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—7 საათ. გოლოვინის პრ. № 12. (თ.1334.3)

საგურამოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1020 378)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

მღებრიშვილი—შინაგ., ბავშვ.—ორშაბ. ოთხშ., პარასკ., კვირაობით 4—5 ს.

გრეიცი—თვალ. ავადმყ., ყ.-დღე 12-1 ს.

არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს. 1½ ს.

მონსე. ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ პარასკ. 2—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.

კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროთერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—1 ს.

რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 2—3 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.

ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

ბესსერი შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 10—11 ს.

გურგენიძე შინაგ., სამშ., ხუთშ. 4—5 ს.

კუხთეეში შეუშხაპუნებენ და ძარღვეში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. (თ—365. 262)

ვაგზლის კერძო
სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ხ. გამყრელიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

გ. ა. ბობოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606“-ით

(წლ—1018—69).

მედიცინის დოქტორი
ი. ბ. ჩუდნოვსკი

სინჯავს შინაგან და ნერვებ აშლილ ავადმყოფებს ყოველდღე დილის 9 საათიდან 11 საათ. და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

კიროჩნი ქუჩა, სახ. № 18, ტელეფონი 1090. (6—1453—6)

ექიმი ს. ი. გძელიშვილი
შინაგანი სნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბორონინისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. (0—1411—37)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.**, № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—903)

ექიმი შ. ა. მიქელაძე
იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. ძმსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—78)

ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე.
იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე.
კიროჩნის ქუჩა, № 9.
(25.595.14)

ექიმი ჰ. არდაზიანი
შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა. № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.189)

ტფილისი 2 სექტემბერი

მადა გალვიძებული კანდიდატი.

ჩვენი მოლოდინი გამართლდა. რეაქციის შვილებმა თავიანთი შესაფერი კანდიდატები გამონახეს. ტფილისის თავად-აზნაურობამ გ. დ. ჟურული წამოაყენა კანდიდატად, ქუთაისის გუბერნიაში კი —თ-დი ვლ. მიქელაძე. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა უფრო გულ-ახდილად იქცევა. იგი ჟურულს თავის საკუთარ კანდიდატად სთვლის და აზრადა აქვს დეპუტატის ჯამაგირს თავის ჯიბიდანაც დააყაროს ექვსასი თუმანი წელიწადში. როგორც გაზეთებში იყო მოხსენებული, კავკასიის უმაღლესი მთავრობა კარგის თვალით უცქერის ჟურულის კანდიდატურას. ამით ნათლად ხასიათდება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კანდიდატის პოლიტიკური ფიზიონომია. ეჭვი არავის უნდა დაებადოს, რანაირი დეპუტატი იქნება ჟურული, ან როგორ დაიცავს ქართველ ხალხის პოლიტიკურ ინტერესებს კავკასიის უმაღლეს მთავრობის ლოცვა-კურთხევით არჩეული კანდიდატი.

სულ სხვანაირად იქცევა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა. რეაქციონერები პროგრესისტების სამოსელში ეხვევიან და კანდიდატად ასახელებენ ადამიანს, რომელსაც იმდენად აინტერესებს საქართველოს ბედ-იღბალი, რამდენადაც ჩვენ, თუნდაც იმავ მიქელაძის შინაური ცხოვრება.

საყურადღებო დეპეშასა ვკითხულობთ „ზაკავკ. რეჩ.“-ში: „გუშინ საბოლოოდ შესდგა უპარტიო პროგრესისტთა ჯგუფი ქალაქის სათავად ნამყოფის, ცნობილ უანგარო მოღვაწის დავით არჩილის ძე ლორთქიფანიძის მეთაურობით. ჯგუფში მცხოვრებთა ყველა მოწინავე ელემენტები შევიდნენ. ჯგუფმა საბოლოოდ გადასწყვიტა, სადეპუტატო კანდიდატად წამოაყენოს სრულიად რუსეთის ცენტრალურ ბანკის (?) დირექტორი თ-დი ვლადიმერ მიქელაძე.“

რა მოწინავე საზოგადოებაც ემხრობა თ-დ მიქელაძეს, ეს არამც თუ ქუთათურმა საზოგადოებამ, მთელმა საქართველომ ძალიან კარგად იცის. ვინ არ იცნობს დავით ნიჟარაძისა და კომპ. სახელგანთქმულ მოღვაწეობას. რანაირი სამოსელიც უნდა ჩაიცვან ქუთათურმა რეაქციონერებმა, ამომრჩეველი მათ კარგად იცნობს და არ მოსტყუვდება. მაგრამ ამ ჟამად ჩვენ ეს არ გვაინტერესებს. საინტერესოა ის, რომ თ-დი მიქელაძე, რომელმაც დიდი ხანია სამშობლო მიწა-წყალი მიატოვა და იქ გადასახლდა, სადაც მეტი ჯამაგირი დაუნიშნეს, დღეს დეპუტატობას აპირებს. საინტერესოა, რა დროიდან აეშალა საღერღელი პოლიტიკურ საქმიანობისა? გაითვალისწინეთ სათათბიროს ძლოვაწეობა და მიზეზს იქ იპოვით. რეაქციონურმა ძალამ სათათბირო მთავრობის მორჩილ დაწესებულებად გადააქცია. მას დაეკარგა მნიშვნელობა, როგორც ხალხის სულის ზრახვათა სრულს გამომხატველს, მაგრამ სამაგიეროდ მისი მნიშვნელობა სხვა ფრივ გაიზარდა. დეპუტატის წოდებამ ბევრს სამინისტროს კუნქულებში გზა გაუხსნა. დაიბადა საშუალება საიდუმლო საფინანსო კომბინაციებისა. და აი, სხვა და სხვა ბანკებისა და მრეწველთა წარმომადგენენელები სცდილობენ თავიანთი კაცები გაიყვანონ სათათბიროში, რომ ის საქმეები, რომლებსაც პირდაპირის საშუალებით ვერა ახერხებენ, საიდუმლო საშუალებებით მოაგვარონ. საჯაროთა და კატეგორიულად ესროლა ასეთი ბრალდება „რუსკოე სლოვომ“ დეპუტატებს იმ დროს, როდესაც ლენის კატასტროფის შეკითხვა ირჩეოდა სათათბიროში. დეპუტატობა ამისთანა შინაურ საფინანსო კომბინაციებისკენ გზას უხსნის, და დაინტერესებულნი პირნი აკი კიდეცა სცდილობენ თავიანთი კაცები გაიყვანონ.

ძალიან კარგი, მაგრამ რა კავშირი აქვს ყველა ამას ხალხსა და ხალხის ინტერესებთან? სრულიად არავითარი. ამიტომ ამომრჩეველმა ზურგი უნდა აქციოს მადა-გალვიძებულ კანდიდატებს და დეპუტატად აირჩიოს ისეთი ადამიანი, რომელიც სათათბიროში საქვეყნო ღირსების კომბინაციებზე კი არ იზრუნებს, წინ წამოაყენებს ჩვენს ჭირვარამს და საქართველოს გულის ნადების გამომხატველად გადაიქცევა.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **კავკასიის ნამესტნიკს წარუდგნენ** 31 აგვისტოს: მიხეილის საავადმყოფოს უფროსი ორდინატორი ექიმი ვირსალაძე და გზათა მინისტრის ამხანაგი დუმიტრაშკო.

◆ **სასულიერო უწყებაში.** საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი მთხოვნელებს მიიღებს ორშაბათობითა, ოთხშაბათობითა და პარასკევობით, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე; ბაქოს ეპისკოპოსი პიმენი—ამავე დღეებში დილის 10 საათიდან ნაშუადღევის პირველ საათამდე (ბაგრატიონის ქ.), და გორის ეპისკოპოსი ანტონი (ფერისცვალების მონასტერში, ავლაბარში) —ამავე დღეებში დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

◆ **სეირნობა.** 3, 4 და 5 სექტემბერს მუშტაიდში სეირნობა გაიმართება ავლაბარში ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის სასარგებლოდ. ბაღში შესვლა უფასო იქნება.

◆ **ქართული წარმოდგენა ავლაბარში.** დღეს, 2 სექტემბერს, ავლაბრის სახალხო თეატრში ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე ხსნის სეზონს და სდგამს „ისმინე ისრაილ“. მონაწილეობას ღებულობენ, გარდა ადგილობრივი ახალგაზრდა სცენის-მოყვარეებისა, ჩვენი დამსახურებულნი მსახიობნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი და ვ. შალიკაშვილი. იმედია, ავლაბრის საზოგადოება ყურადღებას მიაქცევს ასეთს წარმოდგენებს და ქართულ წრეს გაამხნევებს, რათა მხურვალედ შეუდგნენ ახლად დაწყებულ საქმეს.

◆ **სამღვდელოების შორის.** საქართველოს ეგზარხოსმა სიღნაღის მაზრის სამრევლო სკოლების მეთვალყურედ ბლაღოჩინი კირილე ღვთისავრიშვილი დაამტკიცა.

◆ **სიონის საკათედრო ტაძარში.** დღეს მწირველია ყოვლად სამღვდელო ანტონი, ეპისკოპოსი გორისა.

◆ მეტეხის ციხისა და საგუბერნიო საპყრობილის უფროსი რიმკევიჩი, რომელიც დასასვენებლად იყო წასული, ტფილისში დაბრუნდა.

◆ **გზათა მინისტრის ამხანაგი** დუმიტრაშკო ტფილისში ჩამოვიდა.

◆ **აგრონომი ს. ნ. ტიმოფეევი** მებაღეობის უფროს სპეციალისტად დაინიშნა.

◆ **გურია-სამეგრელოს საეპარქიო სასკოლო საბჭოს** (ახალ სენაკში) თავმჯდომარედ უწმ. სინოდმა დანიშნა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის უფროსი არქიმანდრიტი სტეფანე.

◆ **ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა** საბოლოოდ შედგენილია. შემოსავალი და ხარჯი ნავარაუდევია 2,804,568 მან., ხარჯთ-აღრიცხვა ქალაქის საბჭოს განსახილველად სექტემბერში წარედგინება.

◆ **პეტერბურგის სამეურნეო კურსების სტუდენტთა ექსკურსია**, სტ. უგრელიძის მეთაურობით, გაემგზავრება ტფილისიდან პეტერბურგს ორშაბათს, ღამის 12 საათზე, საფოსტო მატარებლით.

◆ დარმშტადში წელს გაიმართა პირველი ოლიმპიური ვარჯიშობანი, რომელზედაც 6 კაცს გაუმარჯვნია. ამათში ურევია დარმშტადტის პოლიტეხნიკუმის სტუდენ. ჩვენი თანამემამულე მავრე ყიფიანი. გაჯიბრების შემდეგ ჰესსენის დიდს ჰერცოგს საკუთარი ხელით დაუდგამს მისთვის თავზე მუხის ფოთლებისაგან გაკეთებული გვირგვინი და გადაუცია დიპლომი გიმნასტიკის მასწავლებლობისა.

◆ **ლ. კ. ელიმირზოვი.** 31 აგვისტოს ტფილისში გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული ლეონ კარლის ძე ელიმირზოვი, რომელიც 75 წლებში ტფ. ქალაქის გამგეობის წევრი და ქალაქის მოურავის მოადგილე იყო. თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა განსვენებულმა ქალაქს დაუტოვა პუშკინის ბიბლიოთეკისთვის. ელიმირზოვი ნების აღმსრულებელი იყო განსვენებულ შიოევისა, რომელმაც ქალაქს სკოლებისთვის ფული დაუტოვა. გუშინ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ცოცხალ ყვავილების ჯვრით შეამკოს განსვენებულის კუბო და მის დასაფლავებას, რომელიც ხვალისთვის არის დანიშნული, სრულის შემადგენლობით დაესწროს.

◆ ახალგაზდა მსახიობნი **ნიკო გვარაძე და გიორგი არადელ-იმხნელი** მომავალ სეზონისთვის უკვე პირობით შეეკვრენ ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების გამგეობას და ამ დღეებში გაემგზავრებიან კიდეც.

◆ **ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი** გუშინ კისლოვოდსკიდან ტფილისს დაბრუნდა.

◆ **საგუბერნიო სამკურნალო განყოფილებამ** დაადგინა, სადგურ ყაზბეგში სამკურნალო გახსნას. სამკურნალო მოთავსებული იქნება სკოლის ძველს შენობაში. მცხოვრებთა დადგენილების თანახმად, თვითეულს კომლს წელიწადში მანეთი გადახდება სამკურნალოს შესანახად.

◆ **მტკვარში დაიხრჩო** 31 აგვისტოს სართაჭალის მცხოვრების შვილი, გიორგი აზარიას ძე ულუქაშვილი, 8 წლისა, რომელიც დიდუბეში, „გრიშას“ ბაღის მახლობლად ბანაობდა. გვამი ვერ იპოვეს.

◆ მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან არსებულ ამიერკავკასიის სათვისტომოს მიერ მოწყობილი ამ ინსტიტუტის სტუდენტთა ექსკურსია მიემგზავრება მოსკოვს ტფილისიდან 10 ენკენისთვეს, მატარებლით № 6, დღისით 2 ს. და 44 წამს. მონაწილეთაგან ფული (5 მან) მიიღება 5 ენკენისთვემდე სტუდენტ ბორის ივ. კრივიაკინთან —პეტრე დიდის ქუჩა, № 10.

◆ 31 აგვისტოს ტფილისში 26 უპასპორტო შეიპყრეს.

სასწავლებლებში.

◆ კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭომ **სიონის ერთ-კლასიანი სკოლა.** (დუშეთის მაზრა) მიმდინარე სამოსწავლო წლიდან ორ-კლასიანად გადააკეთა.

◆ **ქალთა უმაღლეს კურსებზე** ლექციების კითხვა 15 სექტემბერს დაიწყება.

◆ **ტფ. სასწავლებლებში** გუშინ სწავლა დაიწყო. სწავლის დაწყების წინ გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისები.

ქუთაისი.

◆ ამჟამად ქუთაისში სატუსაღოებში 2174 პატიმარია. ამათგან 1087 საგუბერნიო სატუსაღოშია, 560-დიდ სატუსაღოში, 314-მეორე მის განყოფილებაში, 163 პირველ განყოფილებაშია და 20-ც. დროებით სატუსაღო სახლში.

◆ კვირას, 26 აგვისტოს, ქუთაისის საგუბერნიო სატუსაღოდან რუსეთის სხვა და სხვა ქალაქში ადმინისტრატიული წესით გაიგზავნა რვა კაცი და ერთი ქალი.

◆ 24 აგვისტოს. ღამით ქალ. ტაშკენტში სისრულეში მოიყვანეს ორი სიკვდილით დასჯის განჩინება **ბიბილაურისა და მიქელაძის შესახებ.** მათ ქარხნის რწმუნებულის ხალმას მოკვლა ბრალდებათ.

◆ როგორც ამბობენ, ქუთაისის რეალურ სასწავლებლის ექიმი მაქსიმოვიჩი სხვაგან გადაუყვანიათ და მის მაგივრად ნიშნავენ ექიმ ერ. ხუნდაძეს.

◆ ქუთაისის გუბერნიის ექიმის თანაშემწე ექიმი ტერტეროვი, როგორც ამბობენ, ჩრდილო კავკასიის ერთ ერთ ოლქში გადაჰყავთ საოლქო ექიმად.

◆ მას აქეთ, რაც სახელმწიფო ტყიდან სოფლელებს ნება მიეცათ განსაზღვრულ ნიხრით ხე-ტყის გამოტანისა, ქუთაისის ბაზარზე **ხე-ტყის ფასმა თვალსაჩინოდ დაიკლო.** წინანდელთან შედარებით გოჯი 6 კაპიკზედ ნაკლებად იყიდება.

◆ ქუთაისის ახლო მახლო სოფლებში **ბამბის მოსავალს** წელს მეტად ცუდი პირი უჩანს.

ჭიათურა

◆ **ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭომ** წერილებით მიმართა რუსეთში არსებულ მრეწველთა სატეხნიკო სკოლების დირექტორებს, რომ ხელი შეუწყონ შავიქვის მრეწველთა სატეხნიკო სკოლის გამგეს ბ. ა. კობახიძეს დაათვალიეროს ნახსენები სკოლები. ამის გამო მრეწველთა მეთვალყურე ბ. კობახიძე უკვე გაემგზავრა რუსეთს. ის დაათვალიერებს სლავიანსკისა და როსტოვის სატეხნიკო სასწავლებლებს, ლისიჩანის შტეიგერების სასწავლებელს და გოროლოვის სამთო სკოლასა.

ხონი

◆ ამ მოკლე ხანში გაიმართება ქართული წარმოდგენა. წარმოადგენენ ლანჩხუთის სცენის მოყვარეების პ. ზედგენიძისა და კ. ქანტურიშვილის მონაწილეობით ა. ცაგარლის პიესას „ლეკის ქალი გულჯავარ.“

გორი

◆ **შვილის მოკვლა.** სოფელ ქანდრების მცხოვრებმა სვიმონ პავლეს ძე კოპაძემ მოჰკლა თავისი შვილი ვასილი, 5 წლისა. დამნაშავე მამა შეიპყრეს.

— სოფელ ოთარშენში გიორგი კოდოშვილმა ხანჯლით დასჭრა ამავ სოფლის მცხოვრები ივანე ამირაძე. ოდოლოშვილი შეიპყრეს.

ბაქო

◆ ბაქოში ამჟამად დიდძალი მოწაფე მოგროვდა. მათი რიცხვი 10,000 დეა შარშან კი 800 ყოფილა.

◆ ბაქოში დაატუსაღეს მაძებარ პოლიციის ორი აგენტი. მათ მექრთამეობა ბრალდებათ.

◆ **ბაქოს წ. კ. ს. განყოფილება** აცხადებს, რომ ადგილობრივ ქართულ სკოლის პირველ განყოფილებაში წელსაც ჩვეულებრივ მიიღებიან ორთავე სქესის მოწაფენი. თხოვნები მიიღება სექტემბრის ათამდე, სწავლა სექტემბრის სამში დაიწყება.

თელავი

◆ **მოკლული ქალი.** შაშიანის აგარაკში, ხრამში იპოვეს, ხანჯლით მოკლული ქალი, სოფელ კურდღელაურის მცხოვრები ნინო ზაქარიას ასული ყაჭიაშვილისა, რომელიც ამ რამდენისამე ხნის წინად დაკარგულა. როგორც ჰფიქრობენ, მიზეზი რომანიული ნიადაგია და ქალი მოკლულია ქმრისგან, რომელიც ამ ჟამად სადღაც ყოფილა წასული.

აბასთუმანი.

◆ **აბასთუმნის ტყეებში ცეცხლი** ჩააქრეს. დაიწვა ნაძვის ტყე, 50 დესეტინა.

ბორჩალო.

◆ **მკვლელობა.** ალავერდში გრიგოლ ხურიანოვმა, თავის დაცვის დროს რევოლვერით მოჰკლა ამავ სოფლის მცხოვრები მიხეილ იზმიროვი.

— სოფელ შამშლუხში გიორგი თეკაშვილმა დანით სასიკვდილოდ დასჭრა ვასილ მურადო.

ქართულ ჟურნალ-გაზეთების დამწუნებელთა მიმართ.

ხშირად შეხვდებით დიდფეხა და წვრილფეხა განათლებულ ქართველებში ისეთ პირებს, რომელნიც ალმაცერად შესცქერიან ჩვენ ჟურნალ-გაზეთებს, არ მიაჩნიათ ეს უკანასკნელნი წაკითხვის ღირსად და რუსულ გაზეთების გვერდით მათ ყოველთვის ხელ-უხლებლად სტოვებენ, ქართულ გაზეთის აღება და წაკითხვა დროს დაკარგვად მიაჩნიათ.

რომ ჰკითხოთ, რისთვის სჩადიან ამას, ყველა ერთხმად შემოგძახებს— ჩვენი გაზეთები უშინაარსო, ღარიბი, ერთფეროვანი არისო, მოკლებული ფართო ცნობებს უცხოეთის და რუსეთის შიდა ცხოვრების შესახებო. რუსული გაზეთები კი ბევრად მეტს მასალას შეიცავენ, საკუთარი კორესპონდენტები მოეპოვებათ დედა-მიწის ყოველ-კუთხეში და არც-ერთ საკითხს მეცნიერებიდან და საზოგადოებრივ ცხოვრებიდან აღუნუსხველ და განუსჯელს არა სტოვებენო.

ჩვენ აზრადაც არ მოგვდის დავიწყოთ იმის მტკიცება, რომ რუსეთის სატახტო გაზეთები ვერ სჯობიან ქართულ ჟურნალ-გაზეთებს შინაარსის და ცნობების მხრით. სამართლიანობა მოითხოვს აღვიაროთ, რუსულ ჟურნალ-გაზეთებში რიგიანადაა გამოხატული და შეფასებული რუსეთის დ უცხოეთის ცხოვრების სრბოლა, მკაფიოდ დასმული და გარკვეული რუსეთის და უცხოეთის ცხოვრების მიერ წამოყენებული საკითხები, ამ მხრივ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები ბევრად ჩამოუვარდება რუსეთის დიდ-გაზეთებს და ამიტომ ის მკითხველი, რომელსაც სურს კვალ და კვალ მისდიოს პოლიტიკურ, მეცნიერულ და პრაქტიკულ ხასიათის საკითხების მსვლელობას, რუსეთის დიდ გაზეთებს ვერ ასცილდება.

თუმც რუსულ დიდ გაზეთების უპირატესობა და უმჯობესობა შედარებით ჩვენებურთან ნათელია, მ რომ ეს გარემოება განა გვაძლ უფლებას ქართულ ჟურნალ-გა თებს გვერდი ავუქციოთ და საკითხავად რუსულ ხელში, რას სამწუხაროდ ყველაზე უფრო ქა თველი სტუდენტობა და ინტელ გენციის დიდი ნაწილი სჩადის?

ვინც ასე იქცევა, იმის საქციელ ორნაირად შეიძლება ავხსნათ: სძულს ქართული კითხვა, ან რუსეთის და საქართველოს ცხო რების იგივეობას აღიარებს, მათ შ რის ვერავითარ განსხვავებას ხ დავს და ფიქრობს, რომ რუსულ გაზეთი ყოვლად საკმარისია მისთვი პირველ შემთხვევაში ჩვენ დეგენ რატის ანუ გადაგვარებულ ადამიან გემოსთან გვაქვს საქმე.

მეორე მოსაზრებაზე უნდა ითქვა რომ ეჭვს გარეშე იმასაც გადაგვ რების იერი გადაჰკრავს, მაგრამ რ ციონალური ანუ გონებრივი ხას ათისაა და ამიტომ ადგილს აძლევ როგორც უარყოფას, ისე დადასტუ რებას.

რა თქმა უნდა რუსეთის და საქარ თველოს ცხოვრება დღეს-დღეობი მჭიდროდ არის ერთიმეორეზე გადა ხლართული. მაგრამ აქედან კიდე არ გამომდინარეობს, რომ რუსეთი და საქართველოს ცხოვრების შორი განსხვავება არ იყოს.

პირველიც და მეორეც სრულია ინდივიდუალურია. ჩვენი ცხოვრებ რუსეთის ცხოვრების განმეორება დ მეორე პირი როდი არის. გვაქვს ადგილობრივი ინტერესი, საკუთარი კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებანი, საკუთარი ცხოვრება; საკუთარი საჭიროებანი, რომელნიც სულ სხვაგვარ გადაწყვეტა მოითხოვენ, ვინემ რუსეთის ცხოვრების საკითხნი. ამას გარდა ქართველ ხალხის დაბეჩავებულ მდგომარეობას სრულებით მალამოს ვერ მოსცხებს გაბატონებულ ერის საპოლიტიკო კურსი, აზროვნება. პირიქით ქართველ ხალხის კულტურითა და ეკონომიურად გაღონიერება ან და მისი დაუბრკოლებელ განვითარების უზრუნველყოფა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მალე შეიგნებს იგი საკუთარ სპეციფიურ საჭიროებას და რამდენად ადრე გაიჟღენთება იმ შეგნებით, რომ ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად საკუთარი გზის გამონახვაა საჭირო.

ქართველი, მხოლოდ რუსული გაზეთების მკითხველი, მოკლებული იქნება ყველა ამ საკითხების ცნობას, ან და თუ მიიღებს ცნობას, ისეთ თვალსაზრისით დასურათებულს, რომელიც ჩვენ ცხოვრებას არ შეეფერება. ჩვენი ცხოვრების ერთად ერთი ჭეშმარიტი დარაჯი, მის მიერ წამოყენებულ საკითხთა ჩვენი ხალხის მდგომარეობის შესაფერისად განმჯელი, მხოლოდ ქართული პრესაა. ეს უკანასკნელია ჩვენი ცხოვრების სარკე, მის ფურცლებზე შეგვიძლია გავიცნოთ ქართველ ხალხის გულის ზრახვანი, მისწრაფებანი, ჭირ-ვარამი და ამოვიკითხოთ შესაფერისი ზომები მათდა სამკურნალოდ.

რუსული გაზეთი უძლურია ჩვენი ცხოვრების ჭეშმარიტი და სრული დახასიათება მოგვცეს. ამიტომ ქართული, მშობლიურ პრესის ამთვალისმწუნებელი, უარს ამბობს თავის ვინაობის გაგებაზე, თავის ქვეყნის შესწავლაზე, რაც მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს მოსწავლე ახალგაზრდობას და ინტელიგენტებს საერთოდ.

ამ წმინდა საქმის აღსრულება შეუძლებელია საკუთარ ქვეყნის მდგომარეობის ცნობის გარეშე, რის შეძენა მხოლოდ ქართულ ჟურნალ-გაზეთობის მეოხებით შეიძლება.

რაც შეეხება ამ უკანასკნელთა სიღარიბეს რუსულ დიდ გაზეთებთან შედარებით, მოგახსენებთ, რომ არც პირველია განუკურნველი და არც მეორეა ისეთი რამ, რაც მხოლოდ რუსულ გაზეთების თვისებას შეადგენდეს და შეუძლებელი იყოს სხვასაზედ გადავიდეს.

ის თვისებები, რომლითაც რუსული ჟურნალ-გაზეთობა სჯობნის ქართულ პერიოდულ გამოცემებს, თანდაყოლილნი კი არ არიან, არამედ მსვლელობაში შეძენილნი, დამოკიდებულნი რედაქციის ქონებრივ მდგომარეობასა და გაზეთის ხელის მომწერთა საკმაო რაოდენობაზე. რამდენადაც მეტი ფული შესდის რედაქციას გაზეთის გაყიდვისაგან და ხელის-მომწერლებისაგან, იმდენად მეტი ხარჯის გაღება შეუძლია გაზეთის რიგიანად დასაყენებლად, საკუთარი კორესპონდენტის გასაჩენად ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეებში, თანამშრომლების

გასაგზავნად ადგილობრივ საქმის შესწავლის მიზნით. სალიტერატურო, სამწერლო შრომის ჯილდოს ანუ გონორარის დანიშვნით გაზეთი შესძლებდა ხეირიან ძალთა, სხვა და სხვა საკითხთა კარგად მცოდნე პირთა მოწვევას გაზეთის შინაარსის გასამდიდრებლად.

ჩვენი რედაქციები კი ყველა საშუალებას მოკლებულნი არიან და უჭირთ ისეთი თანამშრომლების უზრუნველყოფაც კი, რომელნიც მხოლოდ გაზეთს დასტრიალებენ თავს. დანარჩენებისათვის გონორარის დანიშვნა ჯერ კიდევ მომავლის საგანს შეადგენს.

სალიტერატურო მოღვაწეობა დროს და შრომას მოითხოვს. დღევანდელ გართულებულ ცხოვრების პირობებში არავის ძალუძს ერთიც და მეორეც უსასყიდლოდ შესწიროს. ამიტომ სანამ გაზეთი ვერ უზრუნველჰყოფს თავის მუშაკს, იქამდე ვერ შესძლებს სასურველ დონეზე ამაღლებას. და აი როდესაც საქმე ასეთ მდგომარეობაშია და ქართულ ჟურნალ-გაზეთების უფერულობის მიზეზი სიღარიბეში მარხია, ქართველი განათლებულნი პირები გაურბიან და ხარჯის გაწევას ერიდებიან გამოსაწერად იმავე უფერულობის მიზეზის გამო, რომელსაც თვითონ უწყობენ ხელს.

აკლებენ რა ქართულ პერიოდულ გამოცემებს გაუმჯობესობის საშუალებას, ეს გაბრძენებულნი ქართველები შემდეგ თვითონვე აგინებენ და ლანძღავენ ქართულ ორგანოს, რითაც ამ უკანასკნელის ხელმძღვანელთ გამხნევების და თანამგრძნობის წილ უფრო უძლურებენ ისედაც გაწამებულ სიცოცხლეს.

თუ მართლა თქვენ, ქართულ ჟურნალ-გაზეთების მოწუნენო, გული შეგტკივათ ქართულ ორგანოთა ბეჩავ მდგომარეობის გამო და მათდამი სიყვარულიდან გამომდინარეობს ეს თქვენი სიძულვილი, მაშინ იცოდეთ, ასეთ მდგომარეობის ყოფნისათვის უმთავრესად თქვენ მიგიძღვით დანაშაული და რომ ქართულ გამოცემათა ღირსების ამაღლება შეიძლება არა მათდამი ზურგის შექცევით, არამედ ხალისიანი ხელის გაწოდომით.

ვ. არ—ლი.

სეირნობა ,,ავლაბრის წრის`` სასარგებლოდ

ხვალ, ზეგ და მაზეგ მუშტაიდის ბაღში გაიმართება დიდი სეირნობა ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენის მმართველი წრის სასარგებლოდ.

ავლაბარი ტფილისის ერთი განაპირა უბანთაგანია, რომელიც ისეა დაშორებული შუაგულს ქალაქსა, რომ სრულიად მოკლებულია კულტურულს გასართობს. იქ ჯერ კიდევ მრავალია ისეთი მშობელი, რომელიც თავის შვილს ფულს აძლევს „ყომრისა“ და „ცხრის“ სათამაშოდ და აგრეთვე ხელს უწყობდეს ქურდობასა და ავ-კაცობაში. მრავალია ისეთებიც, რომ მთელი კვირის ნამუშევარს ერთი დღის არღნით ქეიფსა და გარყვნილებაში მოუღებს ბოლოს და ოჯახი კი ხახამშრალი შეჰყურებს მის გზას.

ყველა ასეთები იქნებიან მადამდე, ვიდრე ავლაბარში ღარიბთათვის არ გაიხსნება უფასო სახალხო სკოლები, არ დაარსდება თეატრები, რომ უმართონ წარმოდგენები და უკითხონ ლექციები. ამ საშუალებებით ადვილად დასთმობენ ბრუდს გზას და შეეჩვევიან კულტურულ გზაზე სიარულს.

ერთ ასეთ დაწესებულებად ჩაითვლება „ავლაბრის წრეც“. ორი წელიწადი იქნება, რაც ეს წრე დაარსდა; ხოლო ფიქტიურად მუშაობა კი სულ ექვსიოდე თვეა, რაც დაიწყო. ამ ცოტა ხანში იმდენი მოახერხა, რომ სამის წლით იჯარით აიღო ბ. მურაშკოს თეატრი და იქ მართავს სახალხო იაფ-ფასიან წარმოდგენებს. შეადგინა ვაჟებისა და ქალების (40 სულისაგან) მომღერალთა გუნდი, რომლის ლოტბარადაც მოიწვია ბ. მათურელი და ასწავლის ქართულს საეროვნო სიმღერებს. აგრეთვე შეადგინა სიმებიანი დამკვრელთა გუნდი. ახლო ხანში აპირებს, საკუთრებად შეიძინოს სიმებიანი საკრავები და მომღერალთა გუნდისათვის საეროვნო ტანისამოსი.

ასე რომ საქმეს ჯერ-ჯერობით წინსვლა ეტყობა. მუშტაიდში გამართულმა სეირნობამ ცოტაოდენი წვლილი უნდა შეჰმატოს „ავლაბრის წრეს“, რათა შეძლება მიეცეს ახლად დაწყებულს საქმის სასურველად წაყვანისათვის, ასეთ სახალხო საქმეს ბევრი თანამგრძნობი ჰყავს და იმედია, რომ ამ თანაგრძნობას ავლაბარსაც არ მოაკლებენ და თავიანთ გროშებს არ დაიშურებენ.

იოსებიძე.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემის გამო.

გაზეთებში უკვე სავსებით გამოირკვა ილიას თხზულებათა მომავალი გამოცემის შინაარსი. როგორც ეტყობა, განსაკუთრებულ კომისიას, მ. გედევანიშვილის თაოსნობით მოწვეულს, განზრახული აქვს თხზულება, რავდენადაც შესაძლებელია, სრული იყოს და მგოსნის სახელისათვის შესაფერი. ამ აზრით კომისია ცდილობს თხზულებაში მოათავსოს ყოველი სტრიქონი, ყოველი ლექსი და სხვა ნაწარმოები, რომელიც ილიას მოუთავსებია ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში სხვა და სხვა დროს. ამასთანავე კომისიის დავალებით სხვა და პირნი ამზადებენ თხზულებისათვის ილიას ბიოგრაფიას, მისი ნაწარმოების განხილვას, წერილებს ილიას ნაწარმოების რომელისამე მოტივის შესახებ. მაგრამ ერთი ფრიად საყურადღებო მხარე კომისიას გამოუტოვებია თავის გეგმაში. ეს გახლავთ: ილია ჭავჭავაძე და ბატონ-ყმობა, მისი ურთიერთობა ამ ისტორიულ ინსტიტუტთან, მისი შეხედულება და მოღვაწეობა ბატონ-ყმობის მოსასპობად. ჩვენ ერთის წუთითაც არ ვეჭვობთ, ილიას ნაწერებმა თვისი კვალი დაამჩნიეს მაშინდელ საზოგადოებას, მოამზადეს ნიადაგი გლეხთა სახეიროდ. ილიას ნაწარმოებში ისეთივე პროტესტია ბატონ-ყმობის წინააღმდეგ, როგორიც არის დ. ჰკონქაძის „სურამის ციხეში“. რაღა თქმა უნდა, ილიას თხზულებათა განხილვის დროს ეს მხარე შესაფერისად იქნება აღნიშნული **მარტოოდენ მისი თხზულებების მიხედვით.** მაგრამ არის მასალა, ისტორიული მასალა, რომელიც შეეხება ილიას და ბატონ-ყმობის მოსპობის ეპოქას. ეს მასალა მოიპოვება კავკასიის ნამესტნიკის არქივში, როგორც სარწმუნო პირმა გადმოგვცა ამ არქივში მეტად ძვირფასი და საინტერესო მასალაა იმის შესახებ, თუ ურთიერთობა იყო ილიასა და ბატონ-ყმობს საკითხს შორის. ისტორიული მასალა სალიტერატურო განხილვასთან ერთად, ვგონებ, მეტად საინტერესო ფურცლებად ჩაითვლება მომავალ გამოცემაში. ამ პაწია წერილის მიზანია კომისიის ყურადღება მიაქციოს ამ მხარეს და, თუ კი შესაძლებელია, შეავსოს გამოცემაში ეს ნაკლი. მომავალი გამოცემა იშვიათია თავისი ზომით, განზრახული გეგმით და მეტად სამწუხარო იქნება, თუ ეს საკითხი ილია და ბატონ-ყმობა მარტოოდენ სალიტერატურო მიმოხილვით ჰპოვებს თავის განმარტებას*).

პ. ძადვაძე.

ერის მგოსანი.

მგოსანი უნდა იყოს **ერისა,**
მოძმეთა ცრემლ**ით** ც ეძლებსა ჰღვრიდეს
გუგუნი მისი სიმთა ჟღერისა
საგმირთაგმირო სიმღერას ჰქმნიდეს.

**

მშობელი ქვეყნის ბოლმით, ვარამით,
იგიც აღივსოს და ბობოქრობდეს;
ხალხს წინ უძღოდეს რწმენის ალამით
მის სასიცოცხლოდ სიკვდილს ნატრობდეს.
არა, არ მინდა ჩემი ფანდური,
ნაზ-ტკბილ წკრიალა მგოსნის ქნარს ჰგავდეს;
მსურს ჩაგრულ ერთა იყოს მსახური
მის მტერს და დუშმანს გულსა გმირავდეს.

გ. ქუჩიშვილი.

კვალად გეწვიე...

(ძღვნად ი. ევდოშვილს)

კვალად გეწვიე, კვლავ შენთანა ვარ,
ბედის დაშნებით დაფლეთილ გულით,—
შენც მომესალმე, შენსა ერთგულსა
მწუხარე სევდით და სიყვარულით...
სული სულს შეჰხვდა, ამაყი, მაგრამ
ჟამთა სიმკაცრით ფრთებ მოკვეცილი;
თუმცა ერთმანეთს არ გავუმჟღავნეთ
ჩვენი ობლობა, ჩვენი წუხილი,
მაგრამ თვით უთხრა კვნესით გულმა გულს,
რაც მასში ცეცხლად აანთო გრძნობამ
და საიდუმლო უსიტყვო ტანჯვით
იქვე დამარხა მოვალეობამ!..
და კვლავ გაიბა ძველ ტრფობის სიმი,
ველარ შესწყვიტოს ბედის ქძილმა,—
დე, მის ნელ ხმებით გზა გაიკვლიოს
ძველ საიდუმლოს აღთქმის წადილმა!..

ს. ფაშალიშვილი.

ქუთაისის ავ-კარგი

ახირებულ მდგომარეობაში ჩავარდა ხონის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორად ნამყოფი ბ-ნი მამალაძე, რომელიც თხოვნით თუ მისდა უნებურად ქიათურის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორად დანიშნეს, წინააღმდეგ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს სურვილისა.

სასწავლებლის პატრონი მას ეუბნება—იქნება შესანიშნავი პედაგოგი ხართ, შესაძლებელია საქმეს ჩინებულად გაუძღვეთ, მაგრამ, ბოდიშს ვითხოვთ თქვენთან, ვერ გიყაბულებთ დღევანდელ პირობებში. სასწავლებელს ჩვენ ვინახავთ, მასთანვე ვაარსებთ სამთო განყოფილებას, აზრადა გვაქვს მის სათავეში ჩავაყენოთ უმაღლესი სწავლით აღჭურვილი კაცი (ამას გაზეთებში მოთავსებული განცხადება მოწმობს) და ნუთუ მოსახერხებლად მიგაჩნიათ ან თქვენ ან საოლქო მთავრობას, ჩვენ დაუკითხავად დაინიშნოს სასწავლებლის გამგე?!

მართლა და უფლება ქიათურის სამოქალაქო სასწავლებლის გამგის არჩევისა აქამდის შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს ეკუთვნოდა და ეხლა-კი ოლქის მზრუნველმა ამ უფლების გაბათილება მოინდომა.

ამ გარემოებამ ისეთი უკმაყოფილება გამოიწვია მრეწველთა წრეებში, რომ უმჯობესათ სთვლიან სასწავლებლის დახურვას, ვიდრე ძალაობით დანიშნულ ინსპექტორის მიღებას.

შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს უკვე განუცხადებია პროტესტი და უნდა ვიგულისხმოთ, რომ სამოსწავლო ოლქის მზრუნველი მიხვდება, რომ მისი განკარგულება არც საქმეს არგებს რამეს და არც მის პრესტიჟს შეჰმატებს რამეს.

⁂

სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები მკრთალად და უფერულად მიმდინარეობს. ანგარიშით ენკენისთვეში უნდა მოხდეს წინასწარი კრებები გლეხებისა და წვრილ მემამულებისა და ჯერ არავინ იცის, როდის ან სად მოხდება ეს კრებები. ესეც რომ არ იყოს, წვრილ მემამულეთა სია სამაზრო საარჩევნო კომისიებს ერთ ცალად აქვთ და მსურველი თუ მთლად [illegible] გადასწეროს. წინა არჩევნებისათვის ეს სიები ქუთაისის საგუბერნიო უწყებაში იბეჭდებოდა და მსურველთ შეეძლოთ მისი შეძენა. ეხლა, როგორც ზევითაც ვსთქვით, ასეთი სიების მოპოვება შეუძლებელი თუ არა, მეტად გაძნელებულია.

მიუხედავად ამისა, ცალ-ცალკე ჯგუფები ფორჟალობენ, ვითომ აგიტაციას ეწევიან. ეს სხვაზე მეტად ქალაქებს ემჩნევა, საცა აგიტაციის გაწევა, შედარებით სოფელთან, გაადვილებულიც არის და თან არც ისე სახიფათოა.

⁂

ქართულ დრამატიული საზოგადოების გამგეობა სასეზონო დასს ადგენს—ირკვევა, რომ უკეთესი არტისტიული ძალები სხვა ქალაქებში მიიწვიეს და ჩვენი დასი შედარებით შარშანდელთან სუსტი იქნება. თვალსაჩინო მსახიობთა შორის გარდა ქ-ნი ნინო ჩხეიძის ასულისა, მოწვეულნი არიან ქ-ნი ჩირგაძისა, ღოღობერიძისა, ბ-ნი შარაბიძე, ჩარკვიანი, გ. არადელი-იმხნელი, ნიკო გვარაძე, მურუსიძე და სხვანი. გამგეობის მეცადინეობა, რომ ბ-ნი იმედაშვილი გადმოეყვანათ ტფილისიდან ვერ გამართლდა. იმედს არა ვკარგავთ, რომ ბ-ნი მ. ქორელი, აქაური დასის რეჟისორი, იმ ძალებით, რომელიც ეხლა ხელთა ყავს, რიგიანათ მოაწყობს წარმოდგენებს და ქუთათურებს თეატრში სიარულის ხალისს არ განუქარწყლებს.

კეს.

ცოტა რამ ფრიად საჭირო საქმეზე

(დასასრული *)

ამ წიგნის ბოლოს შემდეგი წარწერაა: „პინაკსი სიტყვათა წიგნისა მარტირიკისა ორ რიცხოვანთა სიტყვათა. სიტყვა ფურცელი“.

შემდეგ ჩამოთვლილია საქართველოის ოცი წმინდანის სახელი, რომელთა ცხოვრებაც აწერილია ამ წიგნში. წიგნი დიდი ზომისაა მხედრული ხელით წვრილად ნაწერი და შეიცავს 500 გვერ. მეტს.

მეხუთე წიგნი მოზრდილია, ლურჯ სქელ ქაღალდზე ნაწერი მხედრული ხელით, ამ წიგნში აწერილია წამება და შესხმა წ. თეკლასი, წმ. დედისა მოწამისა ეკატერინასი, წმ. ქალწულ მოწამისა ანასტასიასი და თეოდოტასი და სხვათა მათ წმიდათა, რომელნი მათთანვე იწამნეს. ამის შემდეგ ამავე წიგნში ცოტა სხვანაირი ხელით არის აღწერილი „გამოცხადება ჯვარისა, რომელ ზეცით ეჩვენა დიდსა კონსტანტინე მეფესა“. შემდეგ ორნაირის ხელით ჯერ ვაჟურისა და მერე ქალურის ხელით აწერილია „წამება წმ. ქალწულ მოწამისა ქრისტინასი“. ბოლოს წიგნისა მიწერილია: „წმ. ქალწულ მოწამეო ქრისტინა შემწე მექმენ ცოდვილს კნეინა თამარს ყოველსა შინა საქმესა რათა მარადის გაქებდე შენ“.

მეიქსე [illegible] სოლომში ცოტაოდენი ფურცლები აკლია.

მეშვიდე წიგნი კარგად მოზრდილია, მხედრულის ხელით ნაწერი, სქელ ლურჯ ქაღალდზე, შემდეგის სათაურით: „თქმული ეპიფანე კიპრელისა ეპისკოპოსი კოსტანტია ქალაქისა, რომელ არს დედა ქალაქთა კიპროს ჰალაკის, რომელ სთქვა ათ-ორმეტთა მათ თვალთა თვის. შემდეგ რიგზედ აწერილია ძვირფასი თვლები საკუთარის სახელებით, ახსნილია თუ რომელ თვალს რა სახელი ჰქვიან, რათა, რის გამოსადეგია და რა ფერისა არის. დაწერილია 120 გვერდზე.

ამის შემდეგ იწყება მეორე წიგნი ასეთი სათაურით: „მხეცთათვის“. სახის სიტყვა წიგნთაგან. თქმული წმ-სა ვასილი ეპისკოპოსის კესარიელისა“. ამ წიგნში დასახელებულია და აწერილია ყველა ფრინველი შინაური თუ მტაცებელი, ოთხფეხი შინაური თუ ნადირი, ქვეწარმავალი თუ წყალში მცხოვრები, ამ წიგნს, ჩემის აზრით, დიდი მნიშვნელობა ექნება და ფრიად გამოსადეგი იქნება ახალ ლექსიკონის შემდგენელთათვის, რადგან ბევრი იმისთანა სიტყვებია ამ წიგნში მინერალოგიიდან, ნუმიზმატიკიდან თუ ზოოლოგიიდან, რომელნიც ეხლა აღარ იხმარება და არც ვინ მათი სახელები იცის. წიგნის ბოლოს გადამწერის ვინაობა არ არის მოხსენებული. ექვსივე ზემოაღნიშნული წიგნები, გარდა „ლოცვანისა“ შავ ტყავ გადაკრულ ყდაშია ჩასმული. თ. დ. გ. მაყაშვილს დიდი მადლობა გადაუხადეთ ამ წიგნების შემოწირვისათვის და წამოველით და რადგან დრო აღარ იყო ს. იყალთოს ღვთაების გასინჯვა და აწერა მეორე დღისათვის გადავდეთ.

ზ. ჩხიკვაძე.

ბათუმის ავ-კარგი.

28-ს აგვისტოს შმაევსკის თეატრში წაიკითხა ლექცია ბ. კოკი აბაშიძემ თემაზე: „რა გავლენა იქონია თანამედროვე რუსულმა ლიტერატურამ, თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე“. ლექტორი შეეხო ჩვენს კრიტიკოსებს კიტა აბაშიძეს, ივ. გომართელს, ნათაძეს, ყარიბს და ყველაზე მაღლა დააყენა გრ. რობაქიძე. „ისაო“—სთქვა ლექტორმა—ყველაზე უმწვერვალეს ადგილს დაიჭერს, მაგრამ ვიწროსაო.. ლექციას ხალხი ცოტა დაესწრო...

კარგა ხანია შესწყდა აქაური ქართული გაზეთი; თუმცა გამომცემელი გვპირდებოდა მალე განვაახლებო და ამისთვის ორჯელაც ჰქონდათ კრება, რომელზედაც ჩამოსწერეს საამხანაგო პირთა სია. მეორე კრებაზე ცხარ კამათი იქონიეს, თუ რა მიმართულების გაზეთი დავაარსოთო... და ლაპარაკი-ლაპარაკად დარჩა და ბათუმელებს დღესაც არა გვაქვს ქართული გაზეთი.—თუ გაზეთის საქმემ ჩაილულის წყალი დალია, სამაგიეროდ თეატრის საქმე კარგად მიდის. ბ. შალვა დადიანის დასი უკვე ბათუმშია თავ-მოყრილი და უცდიან სეზონის გახსნას... შეჰკრეს ნატარიული პირობა თეატრის შენობის პატრონ შმაევსკისთან. თვეში ოთხ წარმოდგენას გამართავენ ბათუმში—დანარჩენ დროს პროვინციებს ესტუმრებიან. ნოვოროსიელ ქართველობასაც უთხოვნია იქ წარმოდგენების გამართვა.

ორი-სამი ღამეა რაც ბათუმში დიდძალი მწყერი მოფრინდა. საცოდავები—ელექტრონის სინათლეს ეტანებიან, აწყდებიან ფარნებს, მავთულებს, შენობებს და ცვივიან ძირს. გოგო-ბიჭები, დიდი, პატარა ქუჩაქუჩა დადიან და ასობით იჭერენ მწყრებს. ნურიის ბაზარში ამ ჟამად აუარებელი მწყერია გასასყიდი. ცოცხალი, თუ დაკლული, წყვილი სამ შაურად იყიდება. ძალიან მსუქნებია...

ტრ. ი.—ძე.

შავი-ქვის გაზიდვა ივლისში.

ქიათურის რაიონიდან ივლისის განმავლობაში გაიზიდა რკინის გზით ფოთამდე და ბათუმამდე. (ფუთ.)

	1910 წ.	1911 წ.	1 წ.
ივლისში	5.279.250	4.355.250	8.300
7 თვის განმავლობაში.	31.258.200	27.475.200	32.80
ზღვით ფოთიდან და ბათუმიდან გაიზიდა:	1910 წ.	1911 წ.	19
ივლისში	5.191.726	26.917.585	6.98
7 თვის განმავლობაში.	30.552.134	5.183.696	31.54

შავი ქვის გაზიდვა სხვა და სხვა ქვეყნებში მიმდინარე წლის ივლისში ამ სახითაა განაწილებული:

დიდ ბრიტან. გაუზ.	803.272 ფ.
ჰოლანდიაში „ „	2.173.197 „
ბელგიაში „ „	1.775.943 „
ავსტრ ა-ჰუნგრეთში	291.400 „
საფრანგეთში „	79.179 „
გერმანიაში „	511.098 „
ჩრ. ამერ. შეერ. შტ.	1.097.400 „
სამხრეთ რუსეთში	253.000 „
სულ . .	6.984.489 ფ.

ამ საერთო რიცხვში ფოთით გაზიდულია 5.168.360 ფ.
ბათუმით 1.815.129 „

(„დილა“).

ლიანდაგიდან გადაცდენა მინისტრთა მატარებლისა

ბოროდინოს მიმავალ მინისტრებს შემდეგი ამბავი დაჰმართნიათ: განსაკუთრებული მატარებელი, რითაც ბოროდინოს უნდა წასულიყვნენ ზოგიერთი მინისტრები, ერთ ადგილს უნდა გაჩერებულიყო და სამგზავრო-საბარგო მატარებლის ჩამოვლისათვის დაეცადნა.

მაგრამ ჩქარი მატარებლის მემანქანეს ვერ შეემჩნია, სემაფორი დაკეტილი ყოფილიყო. ამიტომ პირველი ორთქმავალი დაეჯახა ზღუდეს და წინა თვლებით ლიანდაგს გადასცდა, მატარებელი კი უვნებლად გადარჩა.

გაზეთ „როსიას“ სიტყვით საქმე ასე მომხდარა: იმ მატარებლით, მოსკოვიდან ღამის პირველ საათზე რომ გამოვიდა, მიემგზავრებოდნენ მინისტრები: ს. დ. საზონოვი, ი. გ. შჩეგლოვიტოვი, ლ. ა. კასო, ი. კ. გრიგოროვიჩი, ს. ი. ტიმაშევი, პ. ა. ხარიტონოვი, ვ. კ. საბლერი. ორის ნახევარზე, პრესნას ახლო, როდესაც მატარებელში ყველას ეძინა, მატარებელი, რომელსაც ორი ორთქლმავალი მიაქანებდა, „ტუპიკს“ წააწყდა და ზღუდეს დაეჯახა.

შეჯახება ისეთი ძლიერი იყო, რანაირიც მატარებლის უცებ გაჩერების დროს იცის ხოლმე. ყველას გამოჰღვიძებოდა. გამოირკვა, რომ პირველი ორთქლმავალი გადმხტარიყო, მატარებელი მეორე ორთქლმავალის მემანქანეს გადაურჩენია და [illegible], თორემ მთელი მატარებელი მდ. მოსკოვში ჩავარდებოდა. მატარებელი ჩქარა მინავალა. ამისთანა შემთხვევებში მატარებელს დაჰყვება ხოლმე მიმოსვლის უფროსის თანაშემწე, მაგრამ იმჟამად იგი მატარებელზე არა ყოფილა.

როგორც უკვე ვაუწყებდით მკითხველებს, კვირის მატარებლით, გარდა მინისტრებისა, უმაღლესი პირებიც მიემგზავრებოდნენ.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

1 ენკენისთვე.

საზღვარ-გარედ.

იაპონიის იმპერატორის დასაფლავება.

ტოკიო. დაიწყო იმპერატორის მუცუხიტოს დასაფლავების ცერემონია. პირველად იმპერატორის სასახლის დარბაზში, რომელიც სინტოისტურ სარწმუნოების მიხედვით იყო მორთული, ხალხი ლოცულობდა. შემდეგ მსხვერპლი შესწირეს გარდაცვალებულის სულს — ნაკურთხი სანოვაგე და თეთრი და შავი მაუდი. შეწირვის ცერემონიის დასასრულად ახალი იმპერატორი და ორივე დედოფალი სამი პროცესიით მოვიდნენ, სადაც სულ უმაღლესი პირები იყვნენ. დასაფლავების კომისიის წევრთ და ქურუმებს საზეიმო ნაციონალი ტანისამოსი ეცვათ. იმპერატორს და დედოფლებს—ევროპიული, შავი, სამგლოვიარო. იმპერატორი, დედოფლები, ბატონიშვილები და სხვანი რიგ-რიგობით მიდიოდნენ და თაყვანს სცემდნენ მიცვალებულის სულსა. შემდეგ შავი ფარდა ჩამოუშვეს, ლოცვის ცერემონია გათავდა.

იმპერატორი საღამოს დაჰმარხეს. დამარხვას დაესწრნენ იმპერატორი იოსიჰიტო, უცხოელთა წარმომადგენელნი და თითქმის ერთი მილიონი ხალხი. სასახლის ეზოში ცეცხლი ენთო, აქეთ-იქით კიდევ ჩირაღდნები. მეათე საათი [illegible] ეტლი, რომელშიაც შეებათ განსაკუთრებულ ფერის ხუთი ხარი. მოხელეებს ძველებურად ეცვათ. მიუხედველად ძველის ჩვეულებისა, აქ ხარებს ეხლა კარისკაცის მეხუთე ხარისხს როდი უბოძებენ; ხარები პენსიას მიიღებენ და სიკვდილამდე მეფის საძოვარზე იქნებიან. ეტლი დასაფლავებისათვის გაუკეთებინებიათ, ძთლად შავია. სტილი, ეტყობა, ნასესხებია. ეტლის თვლები, ძოძრაობის დროს, რაღაც დამაღონებელ, სევდის მომგვრელ ხმას გამოსცემენ. ამისთანა თვლების კეთების საიდუმლო სცოდნიათ მხოლოდ ერთი ოჯახიდან გამოსულს დურგლებსა და იმპერატორის ოჯახობისათვის ბევრჯერ გაუკეთებიათ ამისთანა ეტლები. კუბო რამდენისამე ნაწილისაგან შესდგება და ამიტომ ძლიერ დიდია: საჟენ ნახევარი სიგრძე აქვს, ნახევარი—სიგანე. იწონის თითქმის ასს ფუთსა.

იმპერატორის ნეშტი დიდის ამბით გადაიტანეს ეტლში. როგორც კი დაასვენეს ეტლზე, მაშინვე სანთლები ჩაქრა და 800 ჩირაღდანმა გაანათა იქაურობა. სამგლოვიარო პროცესია გაემართა აოიამის მოედნისაკენ. დედოფლებს ახლა უკვე იაპონური ტანისამოსი ეცვათ და როგორც ჩვეულებად ჰქონიათ, თმაგაწეწილნი მისდევდნენ უკან კუბოს. გზაზე, აქეთ-იქით, აუარებელი ჯარი იდგა. ქუჩების მორთვა ტოკიოს ქალაქს 250 ათას იენად დასჯდომია. ყოველ სახლზე ჩამოეკიდნათ შავზოლებიანი თეთრი ფანრები ზედწარწერით: ჩვენს იმპერატორს ვსტირითო. ჩირაღდნები, სევდა მომგვრელი მუსიკა, ძველებური ტანისამოსი, აუარებელი ხალხი და ქვითინი—დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა. პლაც-პარადის ჩრდილოეთის ნაწილში დასასაფლავებელი დარბაზი აემართნათ. მის პირდაპირ იდგნენ მედროშენი, რომელთაც მზისა და მთვარის დროშა ეჭირათ ხელთა. როდესაც მეორე კარებში შედიოდა პროცესია, იმპერატორი და დედოფლები მიეგებნენ და კუბოს გარს შემოეხვივნენ. სიმბოლიურ თაყვანისცემის შემდეგ, იმპერატორმა დაიჩოქა, იდუმლად ილოცა და შემდეგ სამძიმარი სთქვა. ასევე მოიქცნენ დედოფლები და ბატონიშვილები. საიონძიმ სამძიმარი სთქვა ყველა ქვეშევრდომთა სახელით, გრაფმა ვათანაბემ კარისკაცთა სახელითა.

ცერემონიის შემდეგ ნეშტი შეასვენეს საიმპერატორო მატარებელში, რითაც მომოიამს უნდა წაესვენოს განსვენებული.

პორტუგალიის მონარქიის აღდგენის მსურველნი.

მიუნხენი. ოფიციალ-ურად უარჰყოფენ გაზეთების ცნობას, ვითომ

---

*) რამდენადაც ჩვენ ვიცით, გამომცემლები აზრადა აქვთ ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურს ნაწერების გამოცემაც ცალკე ტომად. ეს საკითხიც, უეჭველია, ამ ტომში დაწვრილებით ქნება განხილული.
რედ.

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 688.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავარიის ჰერცოგინას მარია-იოსებას და მინისტრ-პრეზიდენტს გერტლინგს მონაწილეობა მიეღოთ ბავარიელ—პორტუგალიელთა შეთქმულობაში, რასაც პორტუგალიის მონარქიის აღდგენა ჰქონია მიზნად.

მონგოლეთი.

ურგა. ჩამოვიდა სანსაინსინი, რომელსაც ყველა მინისტრი უნდა დაემორჩილოს. ხუტუხტამ გუნობა უბოძა რუსის კონსულს ჩინეთთან მოლაპარაკების დროს მონგოლეთის დახმარებისათვის.

ოსმალეთი.

სტამბოლი. პორტა ირწმუნება, ის ჯარი, სპარსეთ-ოსმალეთის საზღვარზე სადაო ადგილები რომ უჭირავს, ოსმალეთს დავიბარეთო. ბაირამის გამო, სამი დღეა გაზეთები არ გამოსულა.

დააპატიმრეს ახალგაზდა ოსმალთა სახელ-განთქმული მოქადაგე, ნადეპუტატარი შეიჰ-აბდულა, რომელსაც ბაირამის წინადღით სოფიას მეჩითში მთავრობის საწინააღმდეგოდ ამაღელვებელი და გამცეცხლებელი ქადაგება უთქვამს.

ქურთებს, ვანის ოლქში, სომეხთა სოფელი დაუჭერიათ.

გენერალ ნოგის თავის მოკვლა.

ტოკიო. გენერალმა ნოგიმ, რომელიც იაპონიის ჯარს უხელმძღვანელებდა პორტ-არტურთან, ეხლა თავი მოიკლა. თავი მოუკლავს აგრეთვე მისსავე ცოლსა.

ალბანეთი.

ვენა. „რეიჰ-პოსტში“ დაბეჭდილია ინტერვიუ ერთ ალბანელ ეპისკოპოსთან, რომელიც საევხარისტიო ყრილობის მონაწილე ყოფილა. ეპისკოპოსს უთქვამს, როგორც კი ბაირამი გათავდება, ალბანელები აჯანყდებიანო და ავტონომიას მოითხოვენო. ოსმალეთს ბალკანეთის სახელწიფოებთან ომი რომ მოუხდეს, ალბანელები ოსმალეთს მიემხრობიან, რადგან მისი დანაწილება როდი სურთ, არამედ საკუთარ, საეროვნო სკოლას მოითხოვენ და ჰსურთ თავისუფლად განვითარების გარანტია მოიპოვონო. ალბანელები იმედით შესცქერიან ავსტრიას, რომლის იმპერატორიც კათოლიკეთა დამცველიაო. ნეტავი, დაეხმარება კი ალბანეთსაო, უკითხავს ეპისკოპოსს.

ლუკაჩს უთქვამს, მთავრობას სესხის აღება სჭირია, რადგან უქკუო სპეკულიაციისა და საფრანგეთის კაპიტალის უკუქცევის გამო ფული უჭირსო. სამწუხაროდ, გერმანიას თითონაც უჭირს ფულიო.

მაროკო.

პარიზი. ხონთქარმა დეპეშით სიხარული განაცხადა გენერალ ლიოტეს ცნობის გამო: მარაკეში ავიღეთ, ფრანგი ტყვეები გავანთავისუფლეთ და ტახტის მაძიებელი განვდევნეთო.

უკრაინელები.

ვენა. ჩამოვიდა 4 ათასი უკრაინელი საევქარისტიო ყრილობის დასასწრებლად; უკრაინელები ბევრად სჭარბობენ პოლონელებსა.

რუსეთი

სეზონის გათავება.

პიატიგორსკი. ჟელეზნოვოდსკში სეზონი გათავდა.

კრასოვსკის საქმე.

კიევი. ნაპრისტავალი კრასოვსკი ხაზინის ფულის მითვისებისათვის სამართალში მისცეს.

ყაზარმის გადაწვა.

სიმბირსკი. დაიწვა ზაქათალის ოლქის ოთხი ყაზარმა. ზარალი 200 ათას მანეთს აღემატება.

ფინლიანდიაში

ჰოფგერიხტისა და გუბერნატორის უთანხმოება.

ჰელსინგფორსის ჰოფგერიხტმა (ფინლანდიის უმაღლესი სასამართლო) მიმართა ვიბორგის გუბერნატორს, რათა ამ უკანასკნელს გაეთავისუფლებინა ლაგერკრანცი, წევრი ვიბორგის მაგისტრატისა, რომელიც დაატუსაღეს იმის გამო, რომ მან არ ისურვა ჩვენების მიცემა პეტერბურგის საოლქო სასამართლოსთვის და არც სათავდებო 500 მან. შეიტანა.

გუბერნატორი დეპეშით შეეკითხა ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწესა და ფინლანდიის სენატის პროკურორს, რის შემდეგაც უპასუხა ჰოფგერიხტს, მისი მოთხოვნა უკანონოა და ამიტომ უარს ვამბობ ლაგერკრანცის განთავისუფლებაზეო. დასასრულ. გუბერნატორი ატყობინებს ჰოფგერიხტს, რომ იგი (გუბერნატორი) მუდამ გადაუხვევლად ეცდება იმ კანონის ცხოვრებაში გაყვანას, რომელიც უფლებით ათანასწორებს რუსებსა და ფინლანდელებს.

ჰოფგერიხტმა მოისმინა გუბერნატორის პასუხი და დაადგინა: ლაგერკრანცის საქმის ყველა საბუთი გადაეცეს ფინლანდიის ვექილ-გამომძიებელს გუბერნატორის წინააღმდეგ საჩივრის აღსაძვრელად. ამასთანავე ჰოფგერიხტმა უქვეშევრდომილესი საგანგებო მოხსენება შეიმუშავა, სადაც დაწვრილებითაა აწერილი საქმის გარემოება და მიღებული დადგენილების მოტივები.

უცხოეთი

ბალკანეთი.

რამდენიც დღე გადის, მდგომარეობა იმდენად უფრო რთულდება. ომის გუნებაზე განწყობილი, ბალკანეთის პატარა სახელმწიფოები გაჩქარებით ემზადებიან ოსმალეთთან შესაბმელად. როგორც ევროპის გაზეთები ირწმუნებიან, სერბიასა, საბერძნეთსა და ბულგარეთს შორის დაწყებული მოლაპარაკება ოსმალეთის წინააღმდეგ საერთო მოქმედების მოსაწყობად, ნაყოფიერად სწარმოებს —მათი მიზანია, შეერთებული სამხედრო ძალით დაიცვან მაკედონიაში მცხოვრები თვისი თანამემამულენი. მაგრამ არც ოსმალეთია გულხელდაკრებილი: ადრიანოპოლის ვილაეთში მთავრობა საჩქაროდ ჰკრებს სამხედრო სურსათს და რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ ამზადებს. სამხედრო სამინისტროს განკარგულებით, გაზეთების კორესპონდენტებს აეკრძალათ ჯარის მოძრაობის ადგილს დასწრება. ხოლო ბულგარეთის დედა-ქალაქს სოფიას კი, ომის ნამდვილი ელფერი სძევს — ვაჭრობა-მრეწველობა მიყუჩებულია, ბანკებმა სესხის გაცემა შეამოკლეს; პოლიცია გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს ოსმალეთიდან მოსულთ, რადგან ძლიერ ეშინიანთ თურქთა ჯაშუშებისა. შესდგა ახალი ორგანიზაცია, რომელსაც მიზნად დაუსახავს ომის საჭიროების ქადაგება მდაბიო ხალხში. მათი ოფიციალური ორგანო, „სამხედრო ხმა“, რომელსაც სათავეში უდგანან სამსახურს გარეშე მყოფი ჯარისკაცნი, გადაჭრით მოითხოვს ომის გამოცხადებას. ოსმა- ახალი შეტაკება ხდება მოსაზღვრე დარაჯთა შორის, რომელიც შესაძლებელია ომის წინამორბედად გადაიქცეს.

ჩინეთი.

განახლებული ჩინეთი ჯერ კიდევ რყევის ხანშია. რესპუბლიკის მთავრობა, რომელსაც ხელმძღვანელობს გაიძვერა პოლიტიკოსი იუანშიკაი, უძლურია გარს მოჯარებული საფრთხის წინააღმდეგ. ახალი რეჟიმის მიერ გამოწვეული რეფორმები განხორციელებას ვერ ეღირსნენ, რადგან სახელმწიფო ხაზინა ცარიელია და საგარეო სესხის აღება მეტად საძნელო შეიქნა შეუფერებელი პირობების გამო. სესხის საკითხი ყოფნა არყოფნის საკითხად გადაიქცა. მის გარშემო ტრიალობს დღეს ბრძოლა სხვა და სხვა პარტიის შორის. წარსულის მაგალითებით ნაცადი ჩინელები მეტად ფრთხილად ეკიდებიან უცხოელთაგან სესხის აღების საკითხს, მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი სესხის გაღების გარანტიად ჩინეთის შემოსავალ-გასავლის მეთვალყურეობას მოითხოვენ, რაც უბრალო ენით ნათქვამი, სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევას ნიშნავს. მთავრობაც განსაცდელშია ჩავარდნილი, არ იცის, რომელ ძალას დაემყაროს კრიტიკული მდგომარეობიდან გამოსასვლელად. გაქნილ პრეზიდენტს თვალი ჯარისკენ უჭირავს და თვითმპყრობელის რიხით მოქმედებს. ამავე დროს თავი წამოჰყვეს ძველი რეჟიმის მომხრეთაც და სურთ მომენტით სარგებლობა. უკანასკნელ ცნობებით, პეკინის ქუჩებში გაუკრავთ პროკლამაციები, რომელშიაც მონარქისტები იმუქრებიან, ახალ რევოლუციას მოვახდენთ და იმ მოღალატეებს, ნაწნავები რომ დაიჭრეს, თავებს დავაყრევინებთო.

ღია წერილი.

ექიმ ს. ი. გძელიშვილს

ამხანაგო, თანახმად თქვენი წერილისა, რომელიც „სახალხო გაზეთში“, 26 აგვისტოს დაისტამბა, ვაცხადებ ჩემს სურვილს, ვიყო წევრად „ქართველ ექიმთა საზოგადოებისა“.

ექიმი **ნიკ. ლაზ. ტურიაშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

განცხადებანი

№ 4711
სქელი პუდრი
კანს ხავერდისავით ანაზებს და ალმაზებს
ფერდ. მიუღბენსი
კოლოფი 30 კაპ. ✦ პარფიუმერია № 4711
მისი იმპერატ. უდიდ. სასახლის იჯარადარი.
Метцль 309266 309286
(10 1434.1)

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ავასართვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
დოქტორი [illegible]
(წ. 1078.204)

გ. და მ. ტერ-დავიდიანცის
საბუღალტრო კურსები
ტფილისში, ნიკოლოზის ქ., № 36; ვორონცოვის ძეგლთან. ყოველნაირ ცნობებისთვის კურსების კანცელარია ღიაა ყოველ დღე საღამოს 4—7 საათამდე. (25—1437—16)

სავაჭრო სკოლა ეფლ.გ.ბ თ და საბუღალტრო კურსები
ივანე ზაქარიას ძე ტერ-სტეპანოვის.
მისაღები და დამატებითი გამოცდა დაიწყება 27 აგვისტოდან. მეცადინეობა დაიწყება სავაჭრო სკოლაში 3 სექტემბრიდან, საბუხჰალტერო კურსებზე სექტემბრის 15-დან. მიხეილის ქუჩა, სახ. № 53
(5.1472.3)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.
მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.
იღებენ ავადმყოფთ:
ალაჯაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 1—12 ს.
ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუადღ. 1—2 საათამდე.
ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსა სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილი 11—12 საათამდე.
კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.
მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.
ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროს ოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.
წამლობა „606“-ით.
(0—253—101)

სამოსწავლო მთავრობის
ნებართვით
მასწავლებელ ქალის ოჯახში **ღებულობენ მოსწავლეებს** სრული პანსიონით და სურვილისამებრ რეპეტიტორობითაც.
მისამართი: მილიუტინისა და ანდრეევის ქუჩების ქიმი, სახლი № 31, სამისიონერო ეკლესიის პირდაპირ, მეორე სართული; დარეკეთ მარცხნივ. (1.644.2)

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა,
გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამეში 1 იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.** (თ. 1037.56)

ქართულ ენაზე
ჭრა-კერვის წიგნი
თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერუ- [illegible] შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.
მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварны пер., 2, соб. д. (100—1231—33)



ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანყარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში
მუხრანის ქ., № 2.
ყოველ ნაირი ფეხსაც საუკეთ. მასალ, ზომიერ ფასებში.
(25.549.19)

ავადმყოფებს და სუსტებს
„სპერმატინი“
დამზადებულია ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში, ექიმებისა და ფარმაცევტების მეთვალყურეობით. „სპერმატინის“ გამოგონება ეკუთვნის დიდებულ ფრანგ პროფესორს ექიმ **ბროუნ-სეკარს.** მან, 76 წლისამ თავის თავზე გამოსცადა ამ წამლის გადამხალისებელი და ჯანის გამმაგრებელი გავლენა.
მას მერე მკურნალებმა დაადასტურეს, რომ „სპერმატინი“ უებარი წამალია: მოხუცებულების სისუსტისა, სისხლნაკლებისა მძიმე ავადმყოფობისა, ნერვებ აშლილისა, გონებისა და სხეულის მოქანცულობის, სქესებრ. მოჭარბებისა, ჯანის გატეხისა, დამბალ ციებისა, ძარღვების მოდუნებისა, ხერხემლ. ტვინის გახმობისა, სიდამბლისა, კაცობიდან ჩამოვარდნის, წყალმანკისა, გულისფრიალისა შაქრის ავადმყოფობისა, ქარებისა, ათაშანგისა, ლოთობისა, ყაზზობისა, ქლექისა, ვარდის წყლით წამლობის შედეგისა და სხვ.
1 შუშა ღირს 2 მ. 40 კ. ტაბლეტ—2 მ. 75 კ. ფასდადებითაც შეიძლება დაბარება. აფთიაქებს და სააფთ. საწყ.—ფას-დაკლებით. გასაგზავნს დამბარებელი იხდის. იყიდება კავკასიაში მთავარ წარმომადგენელთან—**ი. ახობაძე და ამხ“.** ტფილისი, ლორისმელიქოვის ქუჩა, სახლი № 6, ეზოში. (50—661—2)
შინაგ. საქმ. სამინისტ. ნებადარ. (1907 წ. № 9696)

იმერული შამპანიური
ღვინოები,
ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა ქუთაისში,
„კოლხიდა“ და „თამარა“
მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:
1) ვაგზლის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის ხ.გასტრონომიო მაღაზიაში და
2) მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.
ფასები 1—20 კ. 1 50 მან. ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. (37.166.29)

გამოსულია და იყიდება
არჩილ ჯორჯაძის
თხზულებანი:
I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა“ „ 80 კ.
III „ „ნააზრევი“ „ 65 კ.
IV „ წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. „ 85 კ.

ინჟენერი
ი. ს. კონდოევი
რკინის კოჭები,
საქვაბე რკინები,
საკუთხე რკინები,
სახურავების რკინები.
(შავი და ცინკნარევი.)
ტფილისი.
ელისაბედის ქ., 164.
ბაქოს ქ. კუთხე.
ცემენტი
ასფალტი, გუდრონი, ცეცხლის მძლე აგური და თიხა, ლურსმეულობა, „заклейки“, გულცარიელი აგური და კრამიტი და სხ., საშ. მასალი.
ტელეფონი: კანტორისა 10—93
აგურხანისა № 11—96.
საშენებელი აგურები საკუთარ აგურხანიდან ვაკეზე.
(25.1474.2)

ხელოვნურად შეზავებული
სამკურნალო და ხილეულობის
წყალი
მიტროფანე ლაღიძე და ამხსა.
მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.
გემო და სუნი საამური აქვს.
ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.
ქარხნები იმყოფება: **ტფილისში, გოლოვინის პროსპ. № 5 ტელეფონი № 411, ქუთაისში – პუშკინის ქუჩა № 6.**
(25.1407.9)

სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
ნ. ვ. აბრაამიანის
საბუღალტრო კურსები
(არსებობს 1895 წ.)
ავტორი „ბუღჰალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწ. სამინისტროს მიერ.
ორივე სქესისათვის კურსი 4 თვისაა ყოველ-დღიური მეცადინეობით.
სწავლა იწყება 15 სექტემბერს, 1912 წ. კურსებზე ასწავლიან ბუღჰალტერიისა და სხვა სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვა და სხვა დარგიდან, მაზუთისა და ნავთის მრეწველობაზე—ყოველ ნაირ წესით. დახელოვნება ორმაგ იტალიურ სისტემაში. კომერც. არითმეტიკა, [illegible], სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება, პოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოთქზე, ლამაზი წერვა, ხელის გასწორება, მსურველთათვის **უცხო ენები**, სტენოგრაფია და რემინგტონ. **მასწავლებელნი**—სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, პრაქტიკულად და თეორეტიულად ყოველ ცალკე საგანში მომზადებულნი. **ატესტატები** სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ ეძლევათ. თხოვნები მიიღება ყოველ დღე 9—11 საათამდე და 5—7 საათამდე.
ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსულ ენისა და ანგარიშისა.
წერილობით და პირადად მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს: ნიკოლოზის ქ., 22, საკუთ. სახლი. **ტელეფ. № 744.** (თ. 1450 4)

ვაჭრობა-მრეწველობის უწყებაში მყოფი
ბუხჰალტ რიის პრაქტიკული კურსები
და კომერციული ანგარიში
ი. ფ. კალატნიკოვისა,
(ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 132).
1912—13 წლის სემესტრში ქალ-ვაჟთ შეუძლიანთ მიღების თხოვნა შემოიტანონ და ჩაეწერნენ ყოველ დღე დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე. მეცადინეობა 15 სექტემბერს დაიწყება.
კურსებზე ორივე სქესის მსმენელნი იძენენ საფუძვლიანსა და სრულად დამთავრებულ მომზადებას, კანტორა ბუხჰალტერიისა და საალებ-მიცემო მიწერ-მოწერის დამოუკიდებლად საწარმოებლად.
კურსებზე შემსვლელნი საფუძვლიანად სწავლობენ: 1. **ბუხჰალტერიას** უბრალოს, ორმაგს, იტალიურს, გერმანულს. ამერიკულსა, ფრანგულსა და ახალ რუსულს (ყველა სისტემის შესასწავლად სავალდებულოა პრაქტიკული მუშაობა) 2) **ანგარიშების წარმოებას:** საზოგადოდ საალებ-მიცემოს, საბანკოს, საქარხნოს, საზოგადოს, სასოფლო-მეურნეობისას, ქალაქისას და ერობისას. 2 საკომერციო არითმეტიკას, 3. სავაჭრო უფლებას, 4) თამასუქების უფლებას, 5) საალებ-მიცემო მიწერ-მოწერას, 6) ანგარიშს საანგარიშო ჩოთქზე. 7) ლამაზსა და სწორ წერას (კალიგრაფიას), 8) საწერ მანქანის ხმარებას, 9) რუსულ ენას, 10) არითმეტიკას, 11) **უცხო ენებს:** ინგლისურს, ფრანგულსა და გერმანულს, 12) უცხო ენებზე საალებ-მიცემო მიწერ-მოწერას.
რუსულსა და არითმეტიკის მსმენელთ უფასოდ ასწავლიან.
მასწავლებლებად მოწვეულნი არიან უმაღლეს სწავლა მიღებული სპეციალისტები. კურსების წესდება და პროგრამა მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.
(25—1447—6)

მივიღეთ მარიამობისთვის
შვედური და დელიკატესნი კილკები.
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
ბოჭკის საუკეთესო
ხიზილალა,
გირვანქა 1 მ. 60 კ.
აგრეთვე მოგვდის ცოცხალი ლოქო
და კობრი, საზანი.
(წ.1131.244)

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა“